

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე:

„კითხვასთან დაკავშირებული პრობლემებისა და  
ეფექტური კითხვის სტრატეგიების კვლევა ქართულ ენასა  
და ლიტერატურაში“  
(III კლასი)

ანგარიში

*კვლევის ავტორი: პედაგოგი: ხათუნა ხოფერია*

2019  
ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----

-----3გვ.

აბსტრაქტი -----

-----4გვ.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ -----

-----4გვ.

1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა -----

-----5-6გვ.

1.3 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება -----

-----6-7გვ.

1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები -----

-----7-8გვ.

1.5 კვლევის მიზანი და ამოცანები -----

-----8გვ.

თავი II

კვლევის ჰიპოთეზა -----

-----8გვ.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა -----

---9-10გვ.

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი -----  
-----10გვ.

4.2 კვლევის მეთოდები -----  
-----11გვ.

4.3 კვლევის ვადები -----  
-----12გვ.

## **თავი V**

### **კვლევის შედეგები**

5.1 მონაცემთა ანალიზი -----  
---13-14გვ.

5.2 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები -----  
---15-16გვ.

## **თავი VI**

### **ინტერვენციის (ჩარევის) განხორციელება და შეფასება**

6.1 ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება-----  
---16-17გვ.

6.2 ინტერვენციის შეფასება-----  
-----17გვ.

## **თავი VII**

**დასკვნა** -----  
-----18გვ.

**ბიბლიოგრაფია** -----  
-----19გვ.

**დანართები** -----  
--20-25გვ.

## შესავალი

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია, რომელიც მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს და წარმოადგენს ქართველების მშობლიურ ენას.

მშობლიური ენა განსაზღვრავს ადამიანის თვითცნობიერებასა და მეობას. სწორედ მშობლიური ენის შესწავლის საფუძველზე ყალიბდება პიროვნების კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები.

ქართულ ენას ცენტრალური ადგილი უკავია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და საქართველოს სკოლებში ისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის სახელწოდებით. ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანებისგან განსხვავებით სწავლების ენა და ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, წერა-კითხვა) ჩამოყალიბებას და გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც განაპირობებს ენის პრაქტიკულ გამოყენებას და შეესაბამება მოსწავლის გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება II კლასში ეფუძნება სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს. ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ თემატურ გარემოს, რომელიც აუცილებელია მოსწავლის ინტელექტუალური და შემოქმედებითი განვითარებისათვის. სწავლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს და შეძლონ ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ მსჯელობა, ტექსტის შინაარსის აღქმა და კრიტიკული ანალიზი, საკუთარი აზრების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად და ნათლად გამოხატვა.

ქართულ ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სხვადასხვა სირთულისა და სახის ტექსტის სტრუქტურაში გასარკვევად და სათანადო გაგება-გააზრებისათვის მნიშვნელოვანია შეგნებული კითხვის უნარისა და კითხვის ძირითადი სტრატეგიების დაუფლება, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვე გამოწვევებსა და აზროვნების ახალ ტენდენციებს. სწორედ აღნიშნული საკითხები წარმოადგენდა ჩემს მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემას.

## აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის №6 საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და კითხვის უნარის განვითარებისთვის ხელშემწყობი თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების დანერგვა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე III კლასში.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მოიცავდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების ანკეტურ გამოკითხვას და კონტენტ-ანალიზს, ხოლო თვისებრივი კვლევის მეთოდები - საგაკვეთილო პროცესზე უბარლო და ჩართულ (მონაწილეობით) დაკვირვებას, სიღრმისეულ ინტერვიუსა და ჯგუფურ დისკუსიას (ფოკუს ჯგუფი).

არსებული ლიტერატურული წყაროების შესწავლისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას, ტექსტები შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით, უნდა იყოს მრავალფეროვანი, ლექსიკურად მდიდარი და უზრუნველყოფდეს მოსწავლეების სათანადო ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში უნდა დანერგონ თანამედროვე მიდგომები და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სისტემა, ხელი შეუწყონ მოსწავლის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას და წიგნიერების განვითარებას.

განხორციელებულმა ინტერვენციებმა ცხადყო, რომ კითხვის ეფექტური სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეებში კითხვის უნარების გაუმჯობესება, მათი დაინტერესება და მოტივაციის ამაღლება, ამ გზით კი უკეთესი შედეგების მიღწევა.

## თავი I

### 1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ბათუმის ფიზიკა- მათემატიკის მე-6 საჯარო სკოლის მესამე კლასში სწავლობს 29 მოსწავლე. დაწყებით კათედრაზე მუშაობს 21 პედაგოგი მუშაობს. აქედან უფროსი მასწავლებელი არის-----  
მასწავლებლები მუდმივად გადიან ტრენინგებს და არიან ორიენტირებულები პროფესიულ ზრდაზე.

### 1.2 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

მშობლიური ენა წარმოადგენს მოზარდის სააზროვნო ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს მოზარდის ინდივიდალ და სოციუმის წევრად ჩამოყალიბებას. მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება პიროვნების საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები:

- განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);
- გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი;
- ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი;
- შეაყვაროს კითხვა; გამოუმუშაოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის, ადქმისა და გაცნობიერების უნარი;

- გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- კალიგრაფიული კულტურის გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსით (ლექსიკონები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სარგებლობა;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- ტექსტის აგების კანონზომიერების გათვალისწინებით ტექსტის შექმნა;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერა და მეტყველება;
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება;
- მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტირება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;

- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრება.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ამაზე ზრუნვა სწავლების ადრეული საფეხურიდან უნდა დაიწყოს და მასწავლებელმა მოსწავლეს თავიდანვე უნდა გაუღვივოს კითხვის სიყვარული, რაც მას მთელი ცხოვრება გაჰყვება.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს კარგ მკითხველად, დაეუფლოს კითხვის ტექნიკასა და გააზრებულ კითხვას, რაც მოითხოვს ეფექტური კითხვის მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებას.

მასწავლებელმა სასწავლო პროცესი უნდა წარმართოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით და გამოიყენოს ის მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც დაეხმარება თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში.

სწავლების მეთოდისა და სტრატეგიის შერჩევასას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და უნდა გაითვალისწინოს დაეხმარება თუ არა მის მიერ შერჩეული მეთოდი დასახული მიზნის მიღწევაში, შეესაბამება თუ არა მეთოდი აქტივობას, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას, შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება ტექნიკურად (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები, საკმარისია თუ არა დრო, რა რაოდენობის მოსწავლესთან არის შესაძლებელი მეთოდის ეფექტიანად გამოყენება და ა. შ.).

### 1.3 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას, ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

კითხვის პროცესის სწორად წარმართვისა და სააზროვნო უნარების განვითარებისთვის დიდი მიზვნელობა ენიჭება მასწავლებლის მიდგომას. მასწავლებელი უნდა აანალიზებდეს კითხვის მნიშვნელობასა და როლს სწავლების



დროს, სწორად დაგეგმოს ეფექტური კითხვის სტრატეგიები და მათი მეშვეობით მოსწავლეებს დაანახოს კითხვის ღირებულება.

კითხვა ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს და ეხმარება მოზარდს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული, სტატისტიკური და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით, სპეციალური საძიებლებისა და ლექსიკონების გამოყენება, ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგნობრივი სტანდარტის (იხ. დანართი №1) მიხედვით III კლასის მოსწავლეს უნდა შეეძლოს მარტივი წინადადებებით შედგენილი ტექსტების თავისუფლად კითხვა, ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და ამოკრება, მისი ტიპისა და არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა, კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება და სხვ.

საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან გამომდინარე III კლასის მოსწავლეებს უჭირთ გამართული კითხვა და სირთულეებს აწყდებიან ტექსტის გაგება-გააზრებისას, არ აქვთ სათანადო ლექსიკური მარაგი, ნაკლებად არიან დაინტერესებული კითხვით და არ ზრუნავენ დამატებითი წიგნების კითხვაზე.

#### 1.4 პრობლემის გამომწვევი სავარუდო მიზეზები

ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის №6 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და არსებული პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე გამოვყავი მოსწავლეების მხრიდან კითხვის პრობლემასთან დაკავშირებული რამდენიმე მიზეზი:

- **დროის ფაქტორი** - მოსწავლეები ორიენტირებულები იყვნენ მიცემული ტექსტური დავალების სწარფად შესრულებაზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ტექსტის შინაარსობრივ მხარესა და მიზანს. ამასთან, სხვადასხვა მიზეზთა (სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტების დიდი რაოდენობა და მოცულობა) გამო მოსწავლეები არ/ვერ უთმობდნენ დროს დამატებითი სასკოლო წიგნებისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვას და ხშირად მიმართავდნენ ე. წ. „წიგნიერების იმიტაციას“, შემოიფარგლებოდნენ

რა ტექსტების მოკლე შინაარსების, პერიფრაზებისა და ეკრანიზაციების გაცნობით;

- **ნაკლები დაინტერესება და მოტივაციის არქონა** - მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში ვერ ითავისებდენ ტექსტის დატვირთვას, უინტერესოდ მიაჩნდათ კითხვის პროცესი და გულგრილად ეკიდებოდნენ ტექსტურ მასალას, უფრო ორიენტირებულები იყვნენ ტექსტის შინაარსის დამახსოვრებასა და გადმოცემაზე პრაგმატული მიზნის (მიზნის მიღება) მისაღწევად;
- **ტექსტის სირთულე** - რიგ შემთხვევებში სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტი არ შეესაბამებოდა მოსწავლეების გონებრივ განვითარებასა და შესაძლებლობებს, რაც განაპირობებდა მათ ზერელე დამოკიდებულებას ტექსტის მიმართ. ტექსტის სათანადოდ დამუშავებას ხელს უშლიდა ასევე, ტექსტური დავალების შესრულებისას ინსტრუქციის არ მიცემა;
- **ფსიქოლოგიური ბარიერები** - საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნიდნენ ტექსტის გაგების თვალსაზრისით, მოსწავლეებს უჭირდათ განსხვავებულ ეპოქაში, სოციო-კულტურულ გარემოსა და პირობებში შექმნილი ტექსტების აღქმა.

### 1.5 კვლევის მიზანი და ამოცანები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავდა III კლასის მოსწავლეებში კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენას და არსებული პრობლემების აღმოფხვრისკენ მიმართული ეფექტური კითხვის სტრატეგიების ძიებასა და დანერგვას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავსახე შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე პასიური და აქტიური დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე, მასწავლებელსა და სწავლების პროცესზე;
- ✓ სიღრმისეული ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან;
- ✓ დისკუსია ფოკუს ჯგუფთან (მასწავლებლები და მოსწავლეები);
- ✓ მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა ანკეტური გამოკითხვა;
- ✓ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ანალიზი;
- ✓ მიგნებების, შემუშავებული რეკომენდაციებისა და დასკვნების წარდგენა;

- ✓ ინტერვენციების დაგეგმვა-ჩატარება და მიღებული შედეგების შეფასება.

## თავი II

### კვლევის ჰიპოთეზა

არსებული ლიტერატურული და სამეცნიერო წყაროების გაცნობისა და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე განვსაზღვრე საკვლევი თემა და წამოვაყენე კვლევის ჰიპოთეზა: *„ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და არაეფექტური კითხვის სტრატეგიები აფერხებს სასწავლო პროცესს და ხელს უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“.*

## თავი III

### ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების მიზანია პიროვნების ეროვნულ ღირებულებებთან და მრავალსაუკუნოვან კულტურასთან გაზიარება, თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნების მქონე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში.

იაკობ გოგებშვილის დახასიათებით „ქართული ენა არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“, ხოლო ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას მოიხსენიებს როგორც „ღვთაებრივ საუნჯეს“.

ენა აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალებაა. შესაბამისად, მისი სწავლება ენის ამ ორი უმთავრესი ფუნქციის წინ წამოწევასა და პრიორიტეტულ მიზნად დასახვას უნდა ემსახურობოდეს. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება, როგორც აზროვნების საშუალება, უპირველესად ითვალისწინებს ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ცოდნას და გამორიცხულია ეფექტური კითხვის უნარის დაუფლების გარეშე.

საწყის ეტაპზე კითხვის სწავლების უპირველესი მიზანია მოსწავლეებში წერილობითი ტექსტის გაშიფვრის უნარის გამომუშავება (გაშიფვრა, იგივე დეკოდირება - სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, განვიტარონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები, თუმცა მუშაობა იმავდროულად უნდა წარიმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარების მიმართულებითაც - მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ ის, რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გააზრონ წაკითხული. წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედიური ტექსტებისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას და ერთგვარ ბიძგს მისცემს თითოეულ მათგანში არსებული უნიკალური ინდივიდუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას.

ეფექტური კითხვის სტრატეგიების დანერგვისთვის მასწავლებლებმა უნდა შეძლონ კითხვისა და წერის სწავლება დაბალანსებული და ინტეგრირებული მიდგომით, სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი, ინოვაციური მეთოდებისა და რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.

მოსწავლეზე ორიენტირებული თანამედროვე სისტემა აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტულ მოდელზე, რაც გულისხმობს შემდეგი ეტაპების გავლას ნებისმიერი თემის შესწავლისას:

- ✓ წინარე გამოცდილების გააქტიურება;
- ✓ შესასწავლი საკითხის/თემის/პრობლემის წარდგენა;

- ✓ ინტერესის აღძვრა და მოლოდინების გამოწვევა;
- ✓ ინფორმაციის მიღება და დამუშავება სწავლის სტრატეგიების (შეკითხვების დასმა, პასუხების ძიება, შეჯამება, კავშირების დამყარება, ვიზუალიზება და სხვ.) გამოყენებით;
- ✓ ბუნდოვანი შინაარსის ახსნა-განმარტება;
- ✓ გაგება-გააზრების მონიტორინგი;
- ✓ ახალი ცოდნის სიღრმისეულად გააზრება-განმტკიცება;
- ✓ ახალი ცოდნის, უნარების ინტეგრირება და გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში (მრავალფეროვანი დავალებების შესრულებისას);
- ✓ სწავლის პროცესისა და შედეგების შეფასება.

## თავი IV

### კვლევის დიზაინი

#### 4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ დაწყებითი საფეხურის, III კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, დაწყებითი კლასების კათედრა.

კვლევაში სულ მონაწილეობდა - 79 რესპოდენტი, მ. შ. 21 ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, 29 მოსწავლე და 29 მშობელი.

#### 4.2 კვლევის მეთოდები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:

- **დაკვირვება** - წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებრივ მეთოდს, რომლის უმთავრესი ღირსებაა ის, რომ ხოცილედება ბუნებრივ გარემოში იქ, სადაც რეალურად მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე გამოვიყენე პედაგოგთა და მოსწავლეთა

დაკვირვების ორი ფორმა: პასიური - „უბრალო დაკვირვება“, რომელიც გამორიცხავს დაკვირვების ქვეშ მყოფი პირების „რეაქტიულობას“ (დამკვირვებლის ზეგავლენას), არ იწვევს ქცევის ცვლილებას და ხელს უწყობს ბუნებრიობას და აქტიური - „ჩართული დაკვირვება“, რაც ითვალისწინებს დამკვირვებლის აქტიურ თანამონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში;

- **სიღრმისეული ინტერვიუ** - ვერბალური ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალება და თვისებრივი კვლევის „სავიზიტო ბარათია“. მივმართე პირისპირ ინტერვიუს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. ინტერვიუ იყო ე. წ. ნაწილობრივ სტრუქტურირებული და მიზნად ისახავდა რესპონდენტებისაგან დეტალურ, ღრმა და თანამიმდევრულ ინფორმაციის მიღებას მათი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ;
- **ფოკუს-ჯგუფი** - თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია, რომელიც ასევე ცნობილია „ჯგუფური დისკუსიის“ სახელით. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობას იღებდა **6-დან 12-მდე** რესპონდენტი და წარმართე სადისკუსიო გეგმის მიხედვით;
- **მასობრივი გამოკითხვა** - როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ემყარება სტატისტიკურ კანონზომიერებებს და ითვალისწინებს ამა თუ იმ სოციალური ფენომენის გავრცელებისა და მისი გამოვლენის სიხშირის შეფასებას. მასობრივი გამოკითხვისთვის მივმართე ანკეტირებას და გამოვიყენე სპეციალურად შემუშავებული კითხვარები (იხ. დანართები №№1-3) დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. გამოკითხვა იყო კონფიდენციალური, რესპონდენტი დამოუკიდებლად პასუხობდნენ კითხვებს, რაც უზრუნველყოფდა გულწრფელობის უფრო მაღალ ხარისხსა და კვლევის შედეგების მეტ სანდოობას. კითხვარი მოიცავდა დახურული ტიპის კითხვებს პასუხების შესაძლო ვარიანტებით და თვისებრივი კვლევისთვის უფრო დამახასიათებელი კითხვებს, რომლებიც მინიმალურ გავლენას ახდენენ რესპონდენტთა პასუხებზე;
- **კონტენტ-ანალიზი („შინაარსის ანალიზი“)** - სოციოლოგიური კვლევის მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები მათში ამა თუ იმ მაჩვენებლების გამოვლენის სიხშირის დაფიქსირების მიზნით. ის შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე

თვისებრივი. აღნიშნული მეთოდის დახმარებით მიმოვიხილე ლიტერატურული წყაროები და გავაანალიზე კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები.

### 4.3 კვლევის ვადები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას ვაწარმოებდი 2018-2019 სასწავლო წელს 6 თვის მანძილზე, შემდეგი სქემის მიხედვით:

აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი-დეკემბერი	თებერვალი-მარტი	აპრილი-ივნისი	მაისი
ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა, არსებული ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა					
საკვლევი თემის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და კვლევის გეგმის შემუშავება					
სიღრმისეული ინტერვიუ პედაგოგებთან და მოსწავლეებთან					
ინტერვიუს მონაცემების შეგროვება და ანალიზი					
ანკეტირებისთვის კითხვარების შედგენა და დამუშავება					
რესპოდენტთა გამოკითხვა/ანკეტირება					
მიღებული შედეგების კონტენტ-ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება					

შესაძლო ინტერვენციების განსაზღვრა და დაგეგმვა					
ინტერვენციების განხორციელება					
გატარებული ღონისძიებების/ჩარევების შედეგების ანალიზი და შეფასება					
მიღებული შედეგების პრეზენტაცია სკოლის კათედრაზე					

**თავი V**  
**კვლევის შედეგები**

**5.1 მონაცემთა ანალიზი**

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მოიცავდა როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს.


თვისებრივ მეთოდთაგან მივმართე სიღრმისეულ ინტერვიუს სკოლაში **I-IV** კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან და III კლასის მოსწავლეებთან. ინტერვიუს დროს გამოვიყენე შემდეგი ღია ტიპის კითხვები:

- *რა სირთულეებს გამოყოფენ მასწავლებლები საკითხავი მასალის განხილვისას გაკვეთილზე?*
- *რა პრობლემებს აწყდებიან მოსწავლეები სკოლაში ტექსტის კითხვის დროს?*

ჩატარებული ინტერვიუს საშუალებით განვსაზღვრე ის ძირითადი პრობლემები და სირთულეები, რომლებიც უკავშირდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება-სწავლისას ტექსტის კითხვასა და გაგება-გააზრებას და გამოვავლინე პედაგოგებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება არსებული გამოწვევების მიმართ.



## მინი გამოკითხვის დიაგრამა




გამოკითხულთა 45 % აღნიშნა რომ უჭირს ტექსტის გააზრება სირთულის გამო, 36% სიდიდის გამო 19 % შინაარსის გაგების გამო

ვაწარმოე უბრალო და ჩართული დავაკვირვებ პედაგოგებსა და მოსწავლეებზე ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი მიზეზები, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ეფექტური კითხვის უნარების განვითარებასა და სტრატეგიების დანერგვას.

დავესწარი I, II, IV კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს, როგორც პასიური დამკვირვებელი და უშუალოდ ვმონაწილეობდი III კლასების საგაკვეთილო პროცესში.

## მინი გამოკითხვის დიაგრამა



გავმართე ჯგუფური დისკუსია ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან და თითოეულ კლასში (I-IV) ცალ-ცალკე, I-IV კლასების მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. ერთობლივი მსჯელობისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კითხვის ხელის შემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები. ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსწავლეთა დამოკიდებულებას კითხვისადმი.

ჩავატრე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვა ანკეტირების გზით. სამიზნე ჯგუფის გამოკითხვა განვახორციელე სკოლაში სამ ეტაპად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სპეციალურად მომზადებული კითხვარების (იხ. დანართები №2-4) დახმარებით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 21 პედაგოგი, მე-3 კლასის 29 მოსწავლე და მათი 29 მშობელი.


მასწავლებლების გამოკითხვის მიზანი იყო დამედგინა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისთვის რა მნიშვნელობა აქვს ეფექტურ კითხვას, ტექსტის სწორ გაგებასა და ინტერპრეტაციას, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული კითხვის პროცესი, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტის ტიპი და მოცულობა რამდენად შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს და პასუხობს თანამედროვე სასწავლო მოთხოვნებს, რა ინტენსივობით აძლევენ მოსწავლეებს დამატებით კლასგარეშე საკითხავ მასალას, აწვდიან თუ არა მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტურ დავალებებთან დაკავშირებით ინსტრუქციებს, რა ხარვეზებს გამოყოფენ მოსწავლეების მხრიდან ტექსტური დავალებების შესრულებისას და და როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის გზები .

გამოკითხე მე-3 კლასის მოსწავლეები. მათი უმეტესი ნაწილი (45%) უხალისოდ უდგება კითხვის პროცესს და მიიჩნევს, რომ უნდა შეიცვალოს სახელმძღვანელოებში მოცემული და პროგრამით გათვალისწინებული ტექსტების შინაარსი (მათ უფრო მოსწონთ ზღაპრები და მხატვრული ნაწარმოებები, ვიდრე საინფორმაციო ტექსტები), შეიცვალოს მასწავლებლების მიდგომა და სწავლება გახდეს უფრო მრავალფეროვანი (დატვირთული სხვადასხვა აქტივობებითა და თამაშებით), რათა უფრო საინტერესოდ და ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. ამასთან, სასწავლო მასალის დიდი მოცულობის გამო ისინი სათანადო დროს ვერ უთმობენ მხატვრული ლიტერატურის კითხვას სახლში.

**რა სახის ლიტერატურა მოსწონს?**

## მინი გამოკითხვის დიაგრამა

■ მხატვრული ტექსტი ■ ზღაპრები ■ მოთხრობები ■ იგავარაკები



მშობლების გამოკითხვა ჩატარდა სკოლაში დამოუკიდებლად მოსწავლეების გამოკითხვისგან და მასში მონაწილეობა მიიღო მე-3 კლასის მოსწავლეების მდედრობითი სქესის 65% და მამრობითი სქესის 35% მშობელმა. მშობლების ანკეტირების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეთა 19% ვერ კითხულობს ტექსტებს დამოუკიდებლად, მშობლის დახმარების გარეშე. შევიტყვე თუ რამდენ დროს უთმობს მათი შვილი ტექსტური დავალებების მომზადებას და სჭირდება თუ არა მითითებების მიცემა, განვსაზღვრე მშობლების დამოკიდებულება მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში დანერგილი სასწავლო სტანდარტებისა და მეთოდების მიმართ, მათი კმაყოფილების დონე ქართული ენისა და ლიტერატურაში შვილების აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით, მოსწავლეთა საჭიროებები და კითხვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები.


კონტენტ-ანალიზისთვის გადავხედე მე-3 კლასის მოსწავლეების სახელმძღვანელოებში არსებულ ტექსტებს, რათა შემეფასებინა მათი ადეკვატურობა მოსწავლის გონებრივ და ასაკობრივ თავისებურებებთან და შევავროვე ინფორმაცია პედაგოგების მიერ აღნიშნულ კლასებში გაცემული წასაკითხი ტექსტური დავალებების მოცულობისა და შინაარსის შესახებ.

შედეგებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს განსაკუთრებით უჭირს დიდი ზომის ტექსტები გაგება, ეკარგებათ მოტივაცია როცა ხედავენ დიდ ტექსტებს. ზოგჯერ უჭირთ შინაარსის გაგება.

შედეგების კარგად აღსაქმელად აქვე წარმოგიდგენთ ჩემს მიერ შედგენილ კითხვარებს დიაგრამებში.


მასწავლებელთათვის განკუთვნილი კითხვარი:

1. რამდენად მნიშვნელოვანად მიგაჩნიათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სათანადო ყურადღება დაეთმოს ეფექტურ კითხვასა და ტექსტის გაგება-გააზრებას?
  - ა. არ არის მნიშვნელოვანი;
  - ბ. ნაკლებ მნიშვნელოვანია;
  - გ. მნიშვნელოვანია;
  - დ. ძალიან მნიშვნელოვანია.




მასწავლებელთა 45% თვლის რომ ტექსტის გაგება გააზრება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო 10% არ ეთანხმება ამ აზრს.

2. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტის ტიპი და მოცულობა რამდენად შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს და პასუხობს თანამედროვე სასწავლო მოთხოვნებს?
- ა. დიახ, სრულად შეესაბამება;
  - ბ. ნაწილობრივ შეესაბამება, საკითხები მასალის მოცულობა ცოტაა;
  - გ. ნაწილობრივ შეესაბამება, საკითხები მასალის მოცულობა დიდია;
  - დ. არ შეესაბამება.




ამ კითხვის პასუხებმა ნათლად გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა მხოლოდ 5% თვლის რომ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტები არ შეესაბამებამოსწავლეთა შესაძლებლობებს და თანამედროვე მოთხოვნებს.

3. აწვდით თუ არა მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტურ დავალებებთან დაკავშირებით ინსტრუქციებს?
- ა. დიახ, ხშირად;
  - ბ. დიახ, იშვიათად;
  - გ. არა.




მასწავლებელთა უმეტესობა 80% მიიჩნევს რომ ინსტრუქციების მიცემა აუცილებელია, 5 % კი ამას საერთოდ არ აკეთებს.

4. რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს დამატებით წასაკითხად კლასგარეშე და/ან მხატვრულ ლიტერატურას?
  - ა. დიახ, ხშირად;
  - ბ. დიახ, იშვიათად;
  - გ. არა.



## მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარი


1. მოგწონთ თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები?
  - ა. დიახ;
  - ბ. ნაწილობრივ მომწონს;
  - გ. არ მომწონს.



ამ შეკითხვამ მოსწავლეებში მეტად კარგი ფაქტი გამოავლინა, მოსწავლეთა 71 % პროცენტს მოსწონს ქართული ენის და ლიტერატურის გაკვეთილები, რაც მეტად სასიხარულოა, და მხოლოდ 1% არ მოსწონთ ის.


2. რამდენ დროს უთმობთ ქართული ენისა და ლიტერატურაში ტექსტური დავალებების მომზადებას?
  - ა. ნახევარ დღეს;
  - ბ. რამდენიმე საათს.






3. მოგწონთ თუ არა ტექსტები, რომლებსაც სწავლობთ ქართული ენისა და ლიტერატურაში?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.



4. გიჭირთ თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურაში ტექსტების კითხვა და შინაარსის გაგება-გააზრება?


- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.



მოსწავლეთა 35 % თვლის რომ მათ უჭირთ ტექსტების გაგება-გააზრება, 45% მათ მიიჩნევს ნაწილობრივ რთულად, ხოლო 20% ეს საკმაოდ რთული დავალებაა.

5. გეხმარებათ, თუ არა მშობელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტექსტური დავალებების შესრულებისას და კითხვისას?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.




საყურადღებო ფაქტია ის, რომ მოსწავლეები გადაჩვეული არიან დამოუკიდებლად მუშაობას. მხოლოდ მოსწავლეთა 15% არ სჭირდებათ მშობელთა დახმარება, გამოკითხულ მოსწავლეთა 50% კი მშობლების დახმარებით მეცადინეობს.

6. ჩამოთვლილთაგან რა სახის ტექსტების კითხვა გიყვართ ყველაზე მეტად?

- ა. საინფორმაციო ტექსტები;
- ბ. ზღაპრები;
- გ. მხატვრული ლიტერატურა.

კითხვარებმა ცხადყო, რომ მოსწავლეებს ყველაზე მეტად მხატვრული ლიტერატურის კითხვა იზიდავთ 58%, თუმცა ამ ასაკში ზღაპრებსაც დიდი მონდომებით კითხულობენ 23%, ყველაზე ნაკლებად კი 19% კითხულობენ საინფორმაციო ლიტერატურას.

## რა სახის ტექსტების კითხვა გიყვართ?




7. მოგწონთ თუ არა მასწავლებლის დამოკიდებულება და ის მეთოდები, რომლითაც

გასწავლით კითხვას და გიხსნით ტექსტს?

ა. დიახ;

ბ. ნაწილობრივ;


გ. არა



მასწავლებელთა მეთოდებს გამოკითხულ მოსწავლეთა 75% მოწონებით ხვდება, ხოლო 10% ისინი სრულიადაც არ მოსწონს.

### მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარი


1. რამდენად ადევნებთ თვალს სასწავლო პროცესში მიმდინარე სიახლეებს და ჩართული ხართ სკოლის ცხოვრებაში?
  - ა. არ ვარ საქმის კურსში დროის უქონლობის გამო;
  - ბ. ვარ დაინტერესებული და შეძლებისდაგვარად ვერთვები სასწავლო პროცესში;
  - გ. დიახ, ჩართული ვარ და აქტიურად ვიგებ სიახლეებს.



კითხვაზე თუ რამდენად არიან მშობლები ჩართული შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა 47% უპასუხა, რომ შეძლებისდაგვარად ერთვებიან ხოლო 22% ამბობს, რომ საერთოდ არ არიან საქმის კურსში.

2. რა დროს უთმობს თქვენი შვილი ქართული ენისა და ლიტერატურის მეცადინეობას, კითხვასა და ტექსტური დავალებების შესრულებას?

- ა. არ ვარ დაკვირვებული;
- ბ. დიდ დროს უთმობს;
- გ. ნახევარ დღეს;
- დ. რამდენიმე საათს.




მშობელთა 29%-მა არ იცის თუ რა დროს ხარჯავს მისი შვილი მეცადინეობაზე, 32% თვლის რომ ბავშვები დიდ დროს ხარჯავენ, 19%-ის აზრით რამდენიმე საათის, ხოლო 20%-ის აზრით ბავშვები რამდენიმე საათს უთმობენ ტექსტის კითხვას.

### 3. რამდენად დამოუკიდებლად ართმევს თავს თქვენი შვილი კითხვასა და ტექსტურ დავალებებს?

- ა. დამოუკიდებლად მეცადინეობს;
- ბ. ხანდახან ვეხმარები და ვაძლევ მითითებებს;
- გ. მუდმივად ვადევნებ თვალს და ჩართული ვარ დავალებების მომზადებაში.

მომდევნო დიაგრამაში ჩანს, რომ მშობელთა 65% ხანდახან ეხმარება შვილებს კითხვაში და მხოლოდ მოსწავლეთა 16% კითხულობს დამოუკიდებლად.


## რამდენად დამოუკიდებლად კითხულობენ მოსწავლეები?



4. თქვენი აზრით შეესატყვისება თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების მოცულობა და შინაარსი თქვენი შვილის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს?


- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

## შეესაბამება თუ არა სახელმძღვანელო მოსწავლის ასაკს და გონებრივ შესაძლებლობებს?



რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, კარგია, რომ მშობელთა 40% ტვლის მას მოსწავლეთა ასაკის და გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისად და მხოლოდ 5% არ ეთანხმება ამ აზრს.

5. რა ჟანრის ნაწარმოებები მოსწონს თქვენს შვილს უფრო მეტად?
- ა. საინფორმაციო ტექსტები;
  - ბ. ზღაპრები;
  - გ. მხატვრული ლიტერატურა.




ამ კითხვაზე მშობელთა და მოსწავლეთა აზრი ერთმანეთს თითქმის დაემთხვა. მშობლებიც თვლიან, რომ მათ შვილებს მოსწონთ მხატვრული ლიტერატურის კითხვა (55%).

6. რა სიხშირით კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე/მხატვრულ ლიტერატურას?
- ა. ხშირად;
  - ბ. ხანდახან;
  - გ. ვერ კითხულობს დროის უქონლობის გამო.



## რა სიხშირით კითხულობს მოსწავლეები კლასგარეშე ლიტერატურას




ეს ის შეკითხვაა, რომელიც ალბათ ყველა მასწავლებელს აშფოთებს. მშობელთა აზრით, მოსწავლეთა 40% ვერ კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას დროის უქონლობის გამო. და მხოლოდ 25% კითხულობს მას ხშირად.

7. მოგწონთ თუ არა მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ, არსებული სტანდარტები და მიდგომები?

- ა. დიახ.
- ბ. არა.

შემდეგი დიაგრამა ძალიან დადებითად იმოქმედებს მასწავლებლების მოტივაციაზე, რადგან მშობელთა 85% უწონებს მასწავლებლებს მოსწავლეების მიმართ დამოკიდებულებას, სტანდარტებს და მიდგომებს.

## მოგწონთ თუ არა მასწავლებლის მიდგომები?



### 5.2 კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების გაანალიზებისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- ✓ მასწავლებლები არ/ვერ აცნობიერებენ თუ რა დატვირთვა და ღირებულება აქვს მოსწავლისთვის გააზრებულ კითხვას, ხშირად არ აძლევენ მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტთან დაკავშირებით მითითებებს/ინსტრუქციებს, რომელიც დაეხმარებათ მათ ეფექტურ კითხვასა და ტექსტის გაგება-გააზრებაში;
- ✓ მოსწავლეები ნაკლებად არიან მოტივირებულები, უხალისოდ უდგებიან ტექსტურ დავალებებს და მიაჩნიათ, რომ სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტები უინტერესოა;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების რაოდენობა და მოცულობა არ შეესატყვისება მოსწავლის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. ამასთან, საგნისთვის გამოყოფილი საგაკვეთილო საათები არ არის საკმარისი ამ რაოდენობისა და მოცულობის ტექსტების სტანდარტთან შესაბამისად დასამუშავებლად;
- ✓ საგაკვეთილო პროცესში უმეტეს შემთხვევაში სასწავლო აქტივობები შემოფარგლება ნაწარმოების ე.წ. გარჩევით, შინაარსის დამუშავებით, ისტორიულ-კულტურული მოცემულობის მწირი მიმოხილვით, ავტორის ბიოგრაფიის ზერელე გაცნობით (დაბადება-გარდაცვალების და ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღების მიმოხილვით). ნაკლები დრო ეთმობა

ანალიტიკური, მაღალი სააზროვნო უნარების გასააქტიურებელ სავარჯიშოებს, ინტერპეტაციას, მსჯელობას საკვანძო საკითხებზე, ვერ ხერხდება ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და თანამედროვე აქტუალურ პრობლემებთან წაკითხულის დაკავშირება, თანამედროვე კონტექსტის თანახმად გააზრება;

- ✓ ლიტერატურის სწავლება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გულისხმობს ლიტერატურის ნაციონალურ ჭრილში გააზრებას, ტრადიციულად დამკვიდრებული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, ლიტერატურული ტექსტების გააზრებაც უმეტესად ჩაკეტილ, მონოკულტურულ ჭრილში ხდება;
- ✓ მშობლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტექსტური დავალებების მნიშვნელობას და გამართულ კითხვას, არ იციან მათი შვილების საჭიროებები ამ მიმართულებით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა კომპლექსური ცვლილებები განხორციელდეს სახელმძღვანელებთან მიმართებაში. უნდა გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და მოსწავლისთვის შეთავაზებული ტექსტების სავალდებულო ჩამონათვალი. სასურველია შეიცვალოს მოძველებული ტექსტები, რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს. თემატიკა უნდა იყოს მრავალფეროვანი და შეირჩეს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ლექსიკა, რათა მოსწავლეებმა აქტიურად შეძლონ მისი პრაქტიკაში გამოყენება. ამასთან, სასწავლო მასალის მოცულობა უნდა მოერგოს მათი შესწავლისთვის გამოყოფილ საგაკვეთილო დროს;
- ✓ მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა გაუღვივონ შემეცნებითი ინტერესი და ჩამოუყალიბონ მათ სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ტექსტის შინაარსობრივ მხარესა და გაგება-გააზრებაზე;
- ✓ სასურველია გაიზარდოს მოსწავლეების წიგნიერება და მეტი ყურადღება დაეთმოს მხატვრული ლიტერატურის სწავლებას, რომლის მიზანია არა იდეოლოგიზებული ცნობიერების მქონე ადამიანის აღზრდა, არამედ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება, პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები.

ლიტერატურასთან ურთიერთობამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნება, გაუღვიძოს შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილი;

- ✓ უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია პედაგოგებს შორის. სისტემატიურად უნდა გაუზიარონ ერთმანეთს ხელთ არსებული ინფორმაცია და საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება;
- ✓ მშობლებმა აქტიური წვლილი უნდა შეიტანონ შვილების სასწავლო პროცესში, ჩაერთონ სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებში და ითანამშრომლონ პედაგოგებთან.

## თავი VI

### ინტერვენციის (ჩარევის) განხორციელება და შეფასება

#### 6.1 ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის, არსებული ლიტერატურული წყაროებისა და თანამედროვე მიდგომების შესწავლის საფუძველზე დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი ინტერვენციები:

- ✓ *ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების გადამზადება და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა სასწავლო პროცესში.*

ჩავატარე შეხვედრები მასწავლებლებთან და მივაწოდე მათ ინფორმაცია ეფექტური კითხვის მნიშვნელობისა და სათანადო უნარების განსავითარებელი აქტივობების შესახებ. პედაგოგებს გავაცანი სწავლების უახლესი სტრატეგიები და მეთოდები, რაც ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სწავლებას; აპრობირებულ მეთოდებზე დაყრდნობით პედაგოგებს საშუალება მიეცათ განესაზღვრათ რა სახისა და მოცულობის წასაკითხი მასალა მიეცათ მოსწავლეებისათვის რათა გაეუმჯობესებინათ მოსწავლეების შედეგები და აკადემიური მოსწრება;

- ✓ *საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.*

მასწავლებლებმა შეარჩიეს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული მრავალფეროვანი საინფორმაციო და მხატვრული ტექსტები, განუმარტეს მოსწავლეებს კითხვის მნიშვნელობა და ღირებულება, მიაწოდეს ინსტრუქციები ტექსტურ დავალებებთან დაკავშირებით. შედეგად მოსწავლეები მეტი ხალისითა და მოტივაციით ჩაერთვნენ კითხვის პროცესში;

- ✓ *სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებულ კითხვაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება გაკვეთილზე.*

სხვადასხვა თამაშებისა და აქტივობების გამოყენებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს უკეთ ჩაწვდომოდნენ კითხვის არსს, მეტი აქცენტი გაეკეთებინათ ტექსტის შემადგენელ კომპონენტებსა და შინაარსობრივ მხარეზე;

- ✓ *მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.*

ჩატარდა შეხვედრები I-IV კლასების მოსწავლეების მშობლებთან. პედაგოგებმა მათ გააცნეს ეფექტური კითხვის როლი ბავშვის განვითარებაში და მისცეს რეკომენდაციები თუ როგორ შეუწყონ ხელი ენობრივი უნარების ჩამოყალიბებას და ყურადღება გაამახვილეს სასწავლო პროცესში მათი თანამონაწილეობის აუცილებლობაზე.

## 6.2 ინტერვენციის შეფასება

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დასასრულს შევაფასე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად განხორციელებული ინტერვენციების შედეგები. ჩატარებულმა ჩარევებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა დატრენინგებამ და თანამედროვე ეფექტური კითხვის სტრატეგიების დანერგვამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმეს კითხვის მიზნებსა და ამოცანებს, წასაკითხი მასალის დამუშავებას და შესაბამისი მითითებების გაცემას, ტესტური დავალებების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, რამაც განაპირობა კითხვის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულების შეცვლა. ისინი უფრო მეტი დაინტერესებითა და მოტივაციით შეუდგნენ კითხვას და ტექსტის შინაარსის გააზრებას. გაიზარდა პედაგოგთა შორის კომუნიკაცია, მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონე სასწავლო პროცესში.

## თავი VII დასკვნა

საგანმანათლებლო სფეროში მუდმივად მიმდინარე ცვლილებები და ტექნიკური პროგრესი ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აყენებს განათლების სისტემას. ჩვენს ქვეყანაში ენისა და ლიტერატურის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებისა და აპრობირებული სასწავლო-მეთოდური პრაქტიკის მიუხედავად სასწავლო პროცესში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი რჩება აღმოსაფხვრელი, რაც საჭიროებს საფუძვლიან შესწავლასა და სათანადო ღონისძიებების გატარებას. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგებმა ნათლად წარმოაჩინა არსებული საჭიროებები და განსახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობა. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები საჭიროებს გადახედვას. სასწავლო მასალა ძირითადად წარმოდგენილია არააქტუალური ტექსტებით და მცირე ადგილი ეთმობა თანამედროვე ავტორების ტექსტებს. მოსწავლეებს არ ეძლევათ საშუალება გაეცნონ მათთვის საინტერესო, მნიშვნელოვან თემებსა და მოტივებზე დაწერილ თხზულებებს, რაც მნიშვნელოვანია ლიტერატურისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. სახელმძღვანელომ ხელი უნდა შეუწყოს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში.

ეროვნულ პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო პროგრამაში ნაკლებადაა გათვალისწინებული მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებები, ფსიქოემოციური განვითარება და ინტერესები. მოსწავლეთა ლექსიკური, სამეტყველო, ენობრივი, მხატვრული, ინტერტექსტუალური (პარალელები სხვა ნაწარმოებებთან, ალუზიები) და ექსტრატექსტუალური კომპეტენციები საკმარისი არ არის მიწოდებული ტექსტების გასაგებად და გასააზრებლად, რაც იწვევს მოსწავლეთა ნაკლებ დაინტერესებასა და მოტივაციის არქონას. მცირე დრო ეთმობა მხატვრული ლიტერატურის შესწავლას, რაც საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებას.

მასწავლებლებს შორის ინტენსიური კომუნიკაციის არარსებობა ხელს უშლის გამოცდილების გაზიარებას და ეფექტური კითხვის სტრატეგიებისა და მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში, რაც უმნიშვნელოვანესი ამოცანებია არსებული გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად.

## ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. „გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, <http://mastsavlebeli.ge/?p=1431>;
2. „ქართული ენა“, [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98\\_%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90)
3. „ქართული ენა და ლიტერატურა“, მასწავლებლის წიგნი, ი. იაშვილი, ლ. ქისტაური, ნ. მესხორაძე, ხ. რაზმაძე, მ. აბესაძე, 2018;
4. „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზნები და ამოცანები“, <http://ncp.ge/ge/qartuli-ენისა-და-ლიტერატურის-სწავლების-მიზნები-და-ამოცანები>;
5. „ქართული ენა“, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, <http://www.ice.ge/kartuliena/qartuliena.html>
6. „საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში“, <http://ncp.ge/files/subjects/saxelmwifo%20ენები/qartuli%20ენა%20და%20ლიტერატურა/qartuli%20ენა%20და%20lit.pdf>
7. „მშობლიური ენა, როგორც სააზროვნო ინსტრუმენტი“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-dali-charekashvili-mshobliuri-ენა/28946477.html>
8. „ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემები, <http://mastsavlebeli.ge/?p=10278>;
9. „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“, თინათინ ზურაბიშვილი;

## რეფლექსია

სსიპ ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის მე-6 საჯარო სკოლის ხათუნა ხოფერიას პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსია. საკვლევ თემად ავირჩიე ის, რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა და იდგა ჩემი და ჩემი მოსწავლეების წინაშე. ეს იყო

კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება.  
მოსწავლეებს ყველაზე მეტად ეს საკითხი უჭირდათ.

საკვლევი თემის შინაარსი შედგება შვიდი თავისაგან, სადაც განხილულია თემის აქტუალურობა. წამოვჭერი პრობლემა, დავსახე მიზანი. ჩემი კვლევის მიზანი იყო მოსწავლეებში გადამეჭრა კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები და მომეძებნა მათი გადაჭრის გზები .

კვლევის მეთოდად ავირჩიე გამოკითხვის და ანკეტირების, მონაცემთა შეგროვების მეთოდი, თითოეული მეთოდი კვლევის სანდოობისთვის გამოვიყენე. კვლევის პროცესი მნიშვნელოვანია, შრომატევადია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბევრ რამეზე დამაფიქრა, გადამაჭრევინა პრობლემა, დავსახე ინტერვენცია, ვიყენებდი სხვადასხვა აქტივობებს კითხვის ტექნიკის გასაუმჯობესებლად.კვლევის მიგნებად შემიძლია დავასახელო ის, რომ მშობელთა ჩართულობა დაწყებით კლასში მნიშვნელოვანია. ამიტომ საჭირო დროს უნდა მივმართოთ მათ ჩართულობას. აგრეთვე კვლევის მიგნებად მინდა მოკრძალებული აზრი გამოვთქვა, კვლევა, როგორც აქტივობა, კარგი იქნებოდა დანერგილიყო. ბევრ რამეში დამეხმარა კვლევის პროცესი, მაგალითად იმაში,რომ დამაახლოვა კოლეგებთან, მშობლებთან და მუშა პროცესი გახადა საინტერესო.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 79 რესპოდენტმა. აქედან იყვნენ მშობლებიც, რომლებმაც ითანამშრომლეს ნაყოფიერად. მათაც ჩვეთან ერთად ნათლად დაინახეს პრობლემა. კითხვა არის პრობლემა, რომელსაც უნდა მივხედოთ სწორედ რომ დაწყებით კლასში, ხოლო წიგნიერი თაობა კი, ნიშნავს წარმატებულ ქვეყანას

### დანართები

დანართი №1. III კლასი ქართული ენა და ლიტერატურა სტანდარტი წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება: კითხვა

<p>ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"><li>➢ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი;</li><li>➢ ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე ზომის ტექსტებს;</li><li>➢ ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.</li></ul>
---	--



<p><b>ქართ.დაწყ.(I).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას);</li> <li>➢ ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.);</li> <li>➢ აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს;</li> <li>➢ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა;</li> <li>➢ აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული (მაგ., მსგავსება-განსხვავების) ნიშნით;</li> <li>➢ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;</li> <li>➢ განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;</li> <li>➢ განსაზღვრავს, რა იცის / რა არ იცის ცალკეულმა პერსონაჟმა;</li> <li>➢ ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძობებს, ემოციებს;</li> <li>➢ ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);</li> <li>➢ გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);</li> <li>➢ განსაზღვრავს რეპლიკის ავტორს, ადრესატსა და მიზანს (რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვ.);</li> <li>➢ აკვირდება მხატვრული ტექსტების ენას, მწერლისეულ ლექსიკას;</li> <li>➢ ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, წარწერა.</li> </ul>
<p><b>ქართ.დაწყ.(I).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ქმნის ილუსტრაციებს;</li> <li>➢ აფასებს სხვების მიერ შექმნილ ილუსტრაციებს (რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის შინაარსს);</li> <li>➢ ჯგუფის წევრებთან ერთად დგამს ნაწარმოებში ასახულ სცენებს.</li> </ul>
<p><b>ქართ.დაწყ.(I).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;</li> <li>➢ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა;</li> <li>➢ ასახელებს საყვარელ პერსონაჟს და ხსნის საკუთარ არჩევანს;</li> <li>➢ ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს;</li> <li>➢ ასახელებს მულტიფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე.</li> </ul>
<p><b>ქართ.დაწყ.(I).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ მთლიანობაში აკვირდება ტექსტის სტრუქტურას, მის სიტყვიერ და არასიტყვიერ მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, რუბრიკას, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, სვეტს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტსა და სხვ.) ინფორმაციის ამოკრების მიზნით;</li> <li>➢ ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს,</li> </ul>

	<p>ილუსტრაციას, წარწერას, პირობით ნიშანს, რუბრიკას, აზრების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . - რუბრიკაში „საკვები“);</li> </ul>
<p><b>ქართ.დაწყ.(I).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ამოცნობს სასვენი ნიშნების (წერტილის, მძიმის, ორწერტილის, ბრჭყალების, კითხვისა და ძახილის ნიშნების) ფუნქციას;</li> <li>➤ ამოცნობს პირდაპირ ნათქვამს;</li> <li>➤ კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს.</li> </ul>
<p><b>ქართ.დაწყ.(I).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p><b>მოსწავლე:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით;</li> <li>➤ ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;</li> <li>➤ წაკითხული შინაარსის უკეთ გაგების მიზნით გონებაში, წარმოსახვაში აცოცხლებს მას;</li> <li>➤ კონკრეტული ინფორმაციის მოძიებისას საყრდენებად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მარჯვნივებელ ელემენტებს, სტრუქტურულ მახასიათებლებს;</li> <li>➤ აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;</li> <li>➤ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);</li> <li>➤ განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად;</li> <li>➤ მასწავლებლის დახმარებით ადგენს ტექსტის მარტივ გეგმას მისთვის სასურველი ფორმით (სიტყვიერად ან ნახატებით).</li> </ul>

## დანართი №2. მასწავლებლებისთვის განკუთვნილი კითხვარი

*მოგესალმებით,*

*პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავს სკოლის დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვასთან და ეფექტური სტრატეგიების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციასა და აღმოფხვრას. თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ინტერვენციების განსახორციელებლად და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.*

*გამოკითხვა კონფიდენციალურია. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ კითხვებს და უპასუხოთ ობიექტურად.*

*მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!*

5. რამდენად მნიშვნელოვანად მიგაჩნიათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სათანადო ყურადღება დაეთმოს ეფექტურ კითხვასა და ტექსტის გაგება-გააზრებას?
- ა. არ არის მნიშვნელოვანი;
  - ბ. ნაკლებ მნიშვნელოვანია;
  - გ. მნიშვნელოვანია;
  - დ. ძალიან მნიშვნელოვანია.
6. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტექსტის ტიპი და მოცულობა რამდენად შეესაბამება მოსწავლის შესაძლებლობებს და პასუხობს თანამედროვე სასწავლო მოთხოვნებს?
- ა. დიახ, სრულად შეესაბამება;
  - ბ. ნაწილობრივ შეესაბამება, საკითახვი მასალის მოცულობა ცოტაა;
  - გ. ნაწილობრივ შეესაბამება, საკითახვი მასალის მოცულობა დიდია;
  - დ. არ შეესაბამება.
- 2.1 რა ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს გამოყოფდით:

- 
7. აწვდით თუ არა მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტურ დავალებებთან დაკავშირებით ინსტრუქციებს?
- ა. დიახ, ხშირად;
  - ბ. დიახ, იშვიათად;
  - გ. არა.
8. რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს დამატებით წასაკითხად კლასგარეშე და/ან მხატვრულ ლიტერატურას?
- ა. დიახ, ხშირად;
  - ბ. დიახ, იშვიათად;
  - გ. არა.
9. თქვენი აზრით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში რატომ უძნელდებათ მოსწავლეებს ტექსტის გამართულად კითხვა და შინაარსის გააზრება?

- 
10. რა ღონისძიებებისა და აქტივობების ჩატარებას ისურვებდით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად?

---

**დანართი №3. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კითხვარი**

*მოგესალმებით,*

*პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავს სკოლის დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვასთან და ეფექტური სტრატეგიების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციასა და აღმოფხვრას. თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ინტერვენციების განსახორციელებლად და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.*

*გამოკითხვა კონფიდენციალურია. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ კითხვებს და უპასუხოთ ობიექტურად.*

*მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!*

**რესპოდენტის მახასიათებლები:**

სქესი

- მდედრობითი
- მამრობითი

კლასი

- I
- II
- III
- IV

**ძირითადი კითხვები:**

8. მოგწონთ თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ მომწონს;
- გ. არ მომწონს.

9. რამდენ დროს უთმობთ ქართული ენისა და ლიტერატურაში ტექსტური დავალებების მომზადებას?

- ა. ნახევარ დღეს;
- ბ. რამდენიმე საათს.

10. მოგწონთ თუ არა ტექსტები, რომლებსაც სწავლობთ ქართული ენისა და ლიტერატურაში?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

3.1 რის შეცვლას ისურვებდით?

---

---

11. გიჭირთ თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურაში ტექსტების კითხვა და შინაარსის გაგება-გააზრება?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

4.1 რას მიიჩნევთ ამის მიზეზად?

---

---

12. გეხმარებათ, თუ არა მშობელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტექსტური დავალებების შესრულებისას და კითხვისას?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

13. ჩამოთვლილთაგან რა სახის ტექსტების კითხვა გიყვართ ყველაზე მეტად?

- ა. საინფორმაციო ტექსტები;
- ბ. ზღაპრები;
- გ. მხატვრული ლიტერატურა.

14. მოგწონთ თუ არა მასწავლებლის დამოკიდებულება და ის მეთოდები, რომლითაც

- გასწავლით კითხვას და გიხსნით ტექსტს?
- ა. დიახ;

- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

#### **დანართი №4. მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარი**

*მოგესალმებით,*

*პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავს სკოლის დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას კითხვასთან და ეფექტური სტრატეგიების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციასა და აღმოფხვრას. თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ინტერვენციების განსახორციელებლად და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.*

*გამოკითხვა კონფიდენციალურია. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ კითხვებს და უპასუხოთ ობიექტურად.*

*მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!*

#### **რესპოდენტის მახასიათებლები:**

სქესი

- მდედრობითი
- მამრობითი

რომელი კლასის მოსწავლეს მშობელი ხართ?

- I
- II
- III
- IV

#### **ძირითადი კითხვები:**

8. რამდენად ადევნებთ თვალს სასწავლო პროცესში მიმდინარე სიახლეებს და ჩართული ხართ სკოლის ცხოვრებაში?

- ა. არ ვარ საქმის კურსში დროის უქონლობის გამო;
- ბ. ვარ დაინტერესებული და შეძლებისდაგვარად ვერთვები სასწავლო

პროცესში;

- გ. დიახ, ჩართული ვარ და აქტიურად ვიგებ სიახლეებს.

9. რა დროს უთმობს თქვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მეცადინეობას, კითხვასა და ტექსტური დავალებების შესრულებას?

- ა. არ ვარ დაკვირვებული;
- ბ. დიდ დროს უთმობს;
- გ. ნახევარ დღეს;
- დ. რამდენიმე საათს.

10. რამდენად დამოუკიდებლად ართმევს თავს თქვენი შვილი კითხვასა და ტექსტურ დავალებებს?

- ა. დამოუკიდებლად მეცადინეობს;
  - ბ. ხანდახან ვეხმარები და ვამლევ მითითებებს;
  - გ. მუდმივად ვადევნებ თვალს და ჩართული ვარ დავალებების მომზადებაში.
- 3.1 როგორ ფიქრობთ, რატომ უჭირს თქვენს შვილის ტექსტის კითხვა და გაგება-გააზრება ქართულ ენასა და ლიტერატურაში?
- 

11. თქვენი აზრით შეესატყვისება თუ არა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების მოცულობა და შინაარსი თქვენი შვილის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს?

- ა. დიახ;
- ბ. ნაწილობრივ;
- გ. არა.

12. რა ჟანრის ნაწარმოებები მოსწონს თქვენს შვილს უფრო მეტად?

- ა. საინფორმაციო ტექსტები;
- ბ. ზღაპრები;
- გ. მხატვრული ლიტერატურა.

13. რა სიხშირით კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე/მხატვრულ ლიტერატურას?

- ა. ხშირად;
- ბ. ხანდახან;
- გ. ვერ კითხულობს დროის უქონლობის გამო.

14. მოგწონთ თუ არა მასწავლებლის დამოკიდებულება მასწავლეების მიმართ, არსებული სტანდარტები და მიდგომები?

- ა. დიახ.
- ბ. არა.

7.1 რის შეცვლას ან გაუმჯობესებას ისურვებდით?

---

---